



საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
განათლების ხარისხის განვითარების
ეროვნული ცენტრის დირექტორის
ბრძანება



MES 4 22 0000505078



18/05/2022

**სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში სტაჟიორთა შერჩევის მიზნით
კონკურსის გამოცხადების შესახებ**

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „კ“ და „ნ“ ქვეპუნქტების, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) დირექტორის 2021 წლის 03 თებერვლის №54701 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიულ პირ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში სტაჟირების გავლის წესის“ მე-6 მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების საფუძველზე, ცენტრის ადამიანური რესურსების და საქმისწარმოების სამსახურის უფროსის მოადგილის 2022 წლის 27 აპრილის №425615, ცენტრის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის 2022 წლის 20 აპრილის №408201, ცენტრის პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის 2022 წლის 14 აპრილის №390513 და ცენტრის საზოგადოებასთან ურთიერთობის და საორგანიზაციო სამმართველოს უფროსის 2022 წლის 15 აპრილის №393874 სამსახურებრივი ბარათების გათვალისწინებით,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

1. ცენტრში სტაჟიორთა შერჩევის მიზნით გამოცხადდეს კონკურსი (შემდგომში - კონკურსი) შემდეგ სტრუქტურულ ერთეულებში:
 - 1.1. ადამიანური რესურსების მართვის და საქმისწარმოების სამსახურში - 3 ადგილზე (1 - ადამიანური რესურსების მართვის მიმართულებით, 2 - საქმისწარმოების მიმართულებით);
 - 1.2. უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში - 2 ადგილზე;
 - 1.3. პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში - 3 ადგილზე;
 - 1.4. საზოგადოებასთან ურთიერთობის და საორგანიზაციო სამმართველოში - 1 ადგილზე.
2. კონკურსში მონაწილეობისთვის კანდიდატთა განაცხადის წარდგენის ვადა განისაზღვროს სსიპ - საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებულ ვებგვერდზე - www.hr.gov.ge - კონკურსის გამოცხადებიდან 10 კალენდარული დღის ოდენობით - 2022 წლის 18 მაისიდან 2022 წლის 27 მაისის ჩათვლით.
3. ადამიანური რესურსების მართვის და საქმისწარმოების სამსახურში ადამიანური რესურსების მართვის მიმართულებით სტაჟირების ხანგრძლივობა განისაზღვროს 3 თვის

ვადით (6 თვემდე გაგრძელების პერსპექტივით) და სტაჟირების გავლის მსურველი (შემდგომში -კანდიდატი) უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს:

3.1. არის საქართველოს ქმედუნარიანი მოქალაქე, რომელიც ფლობს სახელმწიფო ენას (ქართულს) C2 დონეზე, აქვს ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ან არის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი ბიზნესის ადმინისტრირების, მენეჯმენტის ან სოციალური მეცნიერებების მიმართულებით;

3.2. საოფისე პროგრამების კარგად ცოდნა - Microsoft Office Word; Microsoft Office Excel; Microsoft PowerPoint Presentation;

3.3. ინგლისური ენის B1 დონეზე (წერა და მეტყველება) ფლობა;

3.4. საკონკურსო თემატიკის ცოდნა - "საჯარო სამართლის იურიდიული პირის – განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის რეორგანიზაციის გზით საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბერის №89/ნ ბრძანება;

3.5. აქვს საჭირო უნარები:

ა) მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობა;

ბ) ანალიტიკური აზროვნების უნარი;

გ) კომუნიკაციის უნარი.

4. ადამიანური რესურსების მართვის და საქმისწარმოების სამსახურში საქმისწარმოების მიმართულებით სტაჟირების ხანგრძლივობა განისაზღვროს 3 თვის ვადით (6 თვემდე გაგრძელების პერსპექტივით) და კანდიდატი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს:

4.1. არის საქართველოს ქმედუნარიანი მოქალაქე, რომელიც ფლობს სახელმწიფო ენას (ქართულს) C2 დონეზე, აქვს ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ან არის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი ან მიღებული აქვს ან იღებს პროფესიულ განათლებას საოფისე საქმის მიმართულებით;

4.2. საოფისე პროგრამების კარგად ცოდნა - Microsoft Office Word; Microsoft Office Excel; Microsoft PowerPoint Presentation;

4.3. ინგლისური ენის B1 დონეზე (წერა და მეტყველება) ფლობა;

4.4. საკონკურსო თემატიკის ცოდნა - "საჯარო სამართლის იურიდიული პირის – განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის რეორგანიზაციის გზით საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბერის №89/ნ ბრძანება.

4.5. აქვს საჭირო უნარები:

ა) მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობა;

ბ) ანალიტიკური აზროვნების უნარი;

გ) დეტალებზე ორიენტირებულობა;

დ) კომუნიკაციის უნარი.

5. უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში სტაჟირების ხანგრძლივობა განისაზღვროს 3 თვის ვადით (6 თვემდე გაგრძელების პერსპექტივით) და კანდიდატი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს:

5.1. არის საქართველოს ქმედუნარიანი მოქალაქე, რომელიც ფლობს სახელმწიფო ენას (ქართულს) C2 დონეზე, აქვს ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ან არის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი განათლების მეცნიერებების, განათლების ადმინისტრირების, საჯარო მმართველობის ან სამართლის მიმართულებით;

5.2. საოფისე პროგრამების კარგად ცოდნა - Microsoft Office Word; Microsoft Office Excel; Microsoft PowerPoint Presentation;

5.3. ინგლისური ენის B2 დონეზე (წერა და მეტყველება) ფლობა;

5.4. საკონკურსო თემატიკის ცოდნა:

- ა) საქართველოს კანონი „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“;
- ბ) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანება - „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“;
- გ) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანება „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“;
- დ) "საჯარო სამართლის იურიდიული პირის – განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის რეორგანიზაციის გზით საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/ნ ბრძანება.
- ე) ბოლონის პროცესის ძირითადი პრინციპების ცოდნა.

5.5. აქვს საჭირო უნარები:

- ა) მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობა;
- ბ) ანალიტიკური აზროვნების უნარი;
- გ) კომუნიკაციის უნარი.

6. პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში სტაჟირების ხანგრძლივობა განისაზღვროს 3 თვის ვადით და კანდიდატი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს:

6.1. არის საქართველოს ქმედუნარიანი მოქალაქე, რომელიც ფლობს სახელმწიფო ენას (ქართულს) C 2 დონეზე, აქვს ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ან მაგისტრის აკადემიური ხარისხი ან არის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მე-4 სემესტრის სტუდენტი - სამართლის, განათლების მეცნიერებების, ბიზნესის და ადმინისტრირების, საჯარო მმართველობის მიმართულებით;

6.2. საოფისე პროგრამების კარგად ცოდნა - Microsoft Office Word; Microsoft Office Excel; Microsoft PowerPoint Presentation;

6.3. ინგლისური ენის B2 დონეზე (წერა და მეტყველება) ფლობა;

6.4. საკონკურსო თემატიკის ცოდნა;

- ა) საქართველოს კანონი „პროფესიული განათლების შესახებ“;
- ბ) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის ბრძანება - №99/ნ „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“;
- გ) საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილება - „პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“;
- დ) საჯარო სამართლის იურიდიული პირის – განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის რეორგანიზაციის გზით საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/ნ ბრძანება.

6.5. აქვს საჭირო უნარები:

- ა) მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობა;
- ბ) ანალიტიკური აზროვნების უნარი;
- გ) კომუნიკაციის უნარი.

7. ცენტრის საზოგადოებასთან ურთიერთობის და საორგანიზაციო სამმართველოში სტაჟირების ხანგრძლივობა განისაზღვროს 6 თვის ვადით და კანდიდატი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს:

7.1. არის საქართველოს ქმედუნარიანი მოქალაქე, რომელიც ფლობს სახელმწიფო ენას (ქართულს) C2 დონეზე, არის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მე-5 სემესტრის სტუდენტი საზოგადოებასთან ურთიერთობის მიმართულებით;

7.2. საოფისე პროგრამების კარგად ცოდნა - Microsoft Office Word; Microsoft Office Excel.

7.3. ინგლისური ენის B2 დონეზე (წერა და მეტყველება) ფლობა;

7.4. საკონკურსო თემატიკის ცოდნა - "საჯარო სამართლის იურიდიული პირის – განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის რეორგანიზაციის გზით საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბერის №89/ნ ბრძანება.

7.5. აქვს საჭირო უნარები:

ა) მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობა;

ბ) ანალიტიკური აზროვნების უნარი;

გ) კომუნიკაციის უნარი.

8. სტაჟიორთა ფუნქცია-მოვალეობად განისაზღვროს: ხელმძღვანელის ცალკეული დავალებებისა და მითითებების შესრულება, რომელიც მიმართული იქნება სტაჟიორის პროფესიულ ზრდის, პროფესიული უნარ-ჩვევების გამომუშავებასა და განვითარებაზე და არ ეწინააღმდეგება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას.

9. კონკურსში მონაწილე კანდიდატმა ვებგვერდის - www.hr.gov.ge მეშვეობით, ჩემი რეზიუმეს შესაბამის ველში უნდა ატვირთოს:

ა) განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი - დიპლომი ან ცნობა საგანმანათლებლო დაწესებულებიდან, რითაც დასტურდება სწავლის ფაქტი;

ბ) მიუთითოს 1 (ერთი) რეკომენდატორის ვინაობა (სახელი, გვარი, თანამდებობა და საკონტაქტო ინფორმაცია).

გ) წარმოადგინოს სამოტივაციო წერილი, რომელშიც უნდა ჩანდეს თუ რატომ სურს კანდიდატს ცენტრის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულში სტაჟირების გავლა.

10. კონკურსი ჩატარდეს ორ ეტაპად:

ა) განცხადების გადარჩევა;

ბ) შეფასება.

11. კანდიდატის შეფასება განხორციელდეს გასაუბრების საფუძველზე.

12. საკონკურსო კომისიამ საბოლოო გადაწყვეტილება მიიღოს ქულათა დაჯამების საფუძველზე, განაცხადების წარდგენის ვადის დასრულებიდან არაუგვიანეს 3 თვის ვადაში.

13. ცენტრის დირექტორს სტაჟიორად დასანიშნად წარედგინოს საუკეთესო შედეგების მქონე ის კანდიდატი, რომლის საბოლოო ქულა იქნება ქულათა შესაძლო მაქსიმალური ოდენობის 50%-ზე მეტი;

14. დაევალოს ადამიანური რესურსების და საქმისწარმოების სამსახურს ვებგვერდის - www.hr.gov.ge - მეშვეობით, კონკურსის გამოცხადების უზრუნველყოფა.

15. დაევალოს ცენტრის საზოგადოებასთან ურთიერთობის და საორგანიზაციო სამმართველოს ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე - www.eqe.ge - ინფორმაციის განთავსების უზრუნველყოფა.

16. დაევალოს ცენტრის ადამიანური რესურსების მართვის და საქმისწარმოების სამსახურს ამ ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის უზრუნველყოფა.

17. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი № 64) კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
დირექტორი
მახარაშვილი თამარ

